



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union




ახალბაზრისა ფეხმართა ასოციაცია
YOUTH FARMERS ASSOCIATION



რეკომენდაციების დოკუმენტი

სურსათის უვნებლობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ კვების
ობიექტებში მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით



ავტორები:

ნინო ძირკველიშვილი

ნატალია ოქროშიაშვილი

ანა ბურჯანიძე

2022

პუბლიკაცია მომზადებულია 'საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის' (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის**“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

შესავალი



რეკომენდაციების დოკუმენტი ეყრდნობა კვლევას, რომელიც ჩატარდა პროექტის “სურსათის უვნებლობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ კვების ობიექტებში მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით” ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 500-მა საზოგადოებრივმა კვების ობიექტმა, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან.

კვლევის ამოცანაა:

გამოიკვლიოს და შეაფასოს რამდენად ეფექტურია სურსათის უვნებლობის მიმართულებით მოქმედი კანონი/რეგლამენტები და სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები ბიზნესოპერატორების დარღვევებთან/შეუსაბამობებთან მიმართებაში.

რეკომენდაციები

კვლევაში გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ გაიცა შემდეგი პრაქტიკული რეკომენდაციები (შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისთვის):

რეკომენდაცია 1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

უზრუნველყოფილ იქნას ყველა ბიზნესოპერატორის აღრიცხვა (რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში) და მათი დროული მონიტორინგი. შემცირდეს ისეთი ობიექტების რიცხვი, რომლებზეც სურსათის ეროვნულ სააგენტოს წარმომადგენლებს აქამდე არ განუხორციელებიათ ვიზიტი. სააგენტომ სამინისტროსთან ერთად შეიმუშავოს თვითკონტროლის მექანიზმები და დანერგოს პრაქტიკაში, უზრუნველყოს ინსპექტორების კომპეტენციის ამაღლება და პერიოდული მონიტორინგი. სამინისტრომ გარკვეული პერიოდულობით გააკონტროლოს სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ხარისხი.

რეკომენდაცია 2

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

გაიზარდოს არაგეგმიური ვიზიტების რაოდენობა კვების ობიექტებზე. არცერთი ბიზნესოპერატორი არ უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული მაკონტროლებელი ორგანოს ვიზიტის შესახებ. მოხდეს ჯარიმის თანხის გადახედვა და ზრდა. განისაზღვროს ჯარიმის ის გონივრული ოდენობა, რომელიც აღემატება დარღვევის გამოსწორებაზე დახარჯული თანხის ოდენობას.

რეკომენდაცია 3

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

გათვალისწინებულ იქნას ეთნიკური უმცირესობების ინტერესები და შემუშავდეს გარკვეული სახის ინსტრუქციები, ბროშურები, სასწავლო მასალები ან/და ინტერნეტ რესურსები მათთვის მისაღებ ენაზე (აზერბაიჯანული და სომხური ენები).

რეკომენდაცია 4

ბიზნესოპერატორებს

სურსათის უვნებლობის სპეციალისტ(ებ)თან თანამშრომლობით უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაცვა და თანამშრომლების რეგულარული გადამზადება ამ მიმართულებით. ასევე, დანერგონ ან/და მუდმივად განაახლონ HACCP-ის სისტემა.

რეკომენდაცია 5

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სააგენტომ უზრუნველყოს დროული და სრულყოფილი ინფორმაციის/საკანონმდებლო სიახლეების მიწოდება ბიზნესოპერატორებისთვის. გამოყენებულ იქნას რესპოდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული არხები: ინტერნეტი, პირისპირ შეხვედრები. პერიოდულობით განხორციელდეს ქოლცენტრის ოპერატორების პროფესიული კომპეტენციის ამაღლება.

რეკომენდაცია 6

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის დროულად ინფორმირების უზრუნველსაყოფად, სააგენტომ შეიმუშავოს მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ბიზნესოპერატორთა შეუსაბამობების გასაჯაროების კრიტერიუმები და პროცედურები (შეიქმნას ვებ-გვერდი, სადაც განთავსდება ინფორმაცია იმ ბიზნესოპერატორების შესახებ, რომლებსაც უფიქსირდებათ შეუსაბამობები. ინფორმაცია განახლდეს 7 კალენდარულ დღეში ერთხელ). ასევე, სააგენტომ სამინისტროსთან ერთად განიხილოს სურსათის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსაბამობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭების საკითხი. სამინისტრომ ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სურსათის უვნებლობის საკითხების შესახებ.

რეკომენდაცია 7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სამინისტრომ შეიმუშავოს და განახორციელოს ნარჩენების მართვის იმგვარი რეფორმა, სადაც უზრუნველყოფილ იქნება ბიზნესოპერატორებისა და მოსახლეობისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება.

შეჯამება

აღნიშნული რეკომენდაციების მიზანია, კვლევის (კვლევის ანგარიში იხილეთ ბმულზე) შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული პრობლემების სახელმწიფო უწყებებამდე, ბიზნესოპერატორებსა და საზოგადოებამდე მიტანა იმ მიზნით, რომ ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პრობლემების აღმოსაფხვრელად და გაიზარდოს საზოგადოების ინტერესი უვნებელი სურსათის საკითხისადმი.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე სურსათის მოხმარებით მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი იყოს ეფექტიანი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. დაბინძურებული, დაავადებული და ფალსიფიცირებული პროდუქციის სამომხმარებლო ბაზრიდან განდევნა (ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში პროდუქტი) და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს პრიორიტეტს.



ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია
YOUTH FARMERS ASSOCIATION